მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი
რესურსების გამოყენების და მართვის საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი №7

ქ. მარტვილი 10 აგვისტო, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 12[00] სთ-ზე, დამთავრდა 13[00] სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ლაშა ქობალია, ალექსანდრე გრიგალავა, ჯამბულ ხუროძე, მინდია გაბისონია, კობა ასაბაშვილი, ელენე კოკაია, გიორგი კოკაია.
სხდომას თავმჯდომარეობდა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების გამოყენების და მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლაშა ქობალია.
მოისმინეს 1: სხდომის თავმჯდომარემ ლაშა ქობალიამ დღის წესრიგის პროექტი გააცნო სხდომის მონაწილეებს.

დღის წესრიგი:

1. ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ'' მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
/მომხსენებელი-ლაშა ქობალია, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების გამოყენების და მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე /
კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.
რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7–მა წევრმა.
მოისმინეს1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების გამოყენების და მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ლაშა ქობალიას მოხსენება, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ'' მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის წერილი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რომელიც ეხებოდა საბაგირო კიდულით მომსახურების ტარიფებს და კომისიის წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.
კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი.
კენჭისყრის შედეგები;
მომხრე 7. წინააღმდეგი 0.
კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის წესის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ'' მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის №60 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი და აღნიშნული საკითხი მომზადებულად ჩაითვალოს საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: ლაშა ქობალია